იმერეთი

ფასი: წლიურად 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თეიურად 3 ა. ცალკე ნომერი ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გადიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილადა. საზღვარგარეთ წლიურად 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თეიურად 6 ა.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კიკვასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამკლავიანი განცხადების. დამეტება პირველ-გვერდზე თითო-ჯერ საღამის 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანეთი.

სამშაბათი 8 ივლისი
მისამართი: ქუთაისი, რედაქცია ვაზ. „იმერეთი“
თვალისას ქუჩა, ფარლოვის თამაქის ქარხანის პირდაპირ შესახვევში. სახლი ოცხელისა.
ტელეფონი № 4.

№ 99 — ყოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე 1914 — № 99

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„იმერეთი“

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 ლისთვის

გაზეთის ფასი:

ერთი წლით	7 მანეთი.
ნახევარი წლით	4 მანეთი.
ერთი თვით	3 აბაზი.
და ცალკე ნომერის	1 შაური.

წლიური დასაკვეთეთან ისწ ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურად ღირს 15 მ. 1/2 წ.—8 მ., თეიურად 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაკავ-სამკითხველოებს გაზთის ეთმობათ წლიურად 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თეიურად 3 აბაზეთ.

ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით редакція „ИМЕРЕТИ“ Гавріилу Ивановичу Дарахвелидзе **სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.**

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქალაქლის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაუკვეველად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წერილთან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

ქუთაისი
პირველი პერმ სამკურნალო
სპეციალისტი ექიმებით.

მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დ ი ლ ი თ.

პროფეს-დოცენტი ხარკოვის სამედიცინო-ინსტიტუტის შეფიცინის დოკტორი ვ. პ. მოსუშეშილი შანაგანი და ხეირგბის.

ბ. ს. მარაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა.	1—2
გ. ს. ნადარაძე.—შინაგანი და ბავშის	10—11
ს. ს. რეფაგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებია ყოველ ღღე	11—2
მ. დ. ბეთანოვი.—კანის, ათაშანგი, ვენერ.	12—2
გ. ს. ჭოდოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ.	12 1/2 2

ს ა ღ ა მ ო თ.

გ. დ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით	4 1/2—5 1/2
გ. ს. ჭოდოშვილი—საბებია, ქალთა და შინაგ.	5 1/2—6/

სამკურნალოსთან მოწყობილია საკ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლად. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატორიანთ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და შშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლი 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—გ. ს. ჭოდოშვილი

მუშაობს
ხრესილის მაღნეული წყლის
ძმ. ეოკრეულაძეების

სამკურნალო აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; **ქარებს (რევმატიზმს)** სხვადასხვაგვარ **მუშუკს, საამაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ცივებას (მალარიას) კუჭის ტკივილს, ვენერულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს** და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი **ექმი**, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელი საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. **აბანო** მდებარეობს **სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში** სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოიითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანციია სერნია ვოდის“

მევენახეთა საყურადღებოთ
ძმა ეოკრეულაძეების მაღაზიაში

ქუთაისი, მიხაილოვის ქუჩ. საკ. სახლი.

მიღებულია და იყიდება უმაღლესი ხარისხის დიდძალი **ინგლისური შაბიანი გირვანქა ცხრა კაპიკად.**



მიღებულია და იყიდება უმაღლესი ხარისხის დიდძალი **ინგლისური შაბიანი გირვანქა ცხრა კაპიკად.**

მიღებულია და იყიდება უმაღლესი ხარისხის დიდძალი **ინგლისური შაბიანი გირვანქა ცხრა კაპიკად.**

დასავლეთ საქართველოს მომღერალთა გუნდი,

ბ. ლოლუას ლოტბარობით გამართავს
კ ო ნ ც ე რ ტ ს

შემდეგ ადგილებში: ქუთაისში, ყაირილაში, ჭიათურაში, სურამში, ბორჯომში, წყალტუბოში, გორში და თბილისში.

თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა
კურსების ძალზეული წესის
აბანო.

რომელიც იმყოფება ვეფოთის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯავანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ს ორმოცდა ათი საეენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯავანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კ ურ ს ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო.** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუშუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს. გამო

პუტინთან. სწამდათ თუ არა მის თაყვანისმცემლებს ასეთი სახე ცხონებისა, ჩვენ ეს არ ვიცით, მაგრამ, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ამ „საღწეულობას“ პრაკტიკა დიდი ჰქონდა.

გრიგორი რასპუტინის მოღვაწობის დამახასიათებელ თვისებას, სხვათა შორის, ისიც შეადგენდა, რომ იგი უმთავრესად მაღალ წრეებში მოღვაწეობდა. ამით აიხსნება ისიც, რომ მან მალე მოიპოვა გავლენა რუსეთის გავლენან „სანონენკებზე“ და უვიცი „მეფეკი“ პოლიტიკურ გავლენის ფაკტორათ შეიქნა. მისი სახელი დღითიდღე იზრდებოდა, მისი გავლენა დღითიდღე მდიდრდებოდა, მაგრამ მის ქადაგების უმთავარეს მორჩილებად მაინც ქალები იყვენ და თუ რამდენათ უმაგრებდენ მას ზურგს ეს ქალები შემდეგი მაგალითიდანაც ჩანს: როდესაც ხმა გავარდა, რომ „მოხუცი“ ბევრ უზნეობას სჩადის მეტადრე ქალებ შორისო და სასულიერო სასამართლომ მას ერთის წლით მონასტერში ყოფნა გადაწყვიტა—რასპუტინმა განაცხადა: „ჩემს სულიერ ასულთ უჩემოთ ყოფნა არ შეუძლიათო“ და მონასტერში არ წავიდა.

მაგრამ რასპუტინს ბრმა თაყვანისმცემლებთან ერთად მტერიც ბევრი ჰყავდა და განსაკუთებულ მინისტრ-პრეზიდენტის სტოლიპინის ბრძანებით იგი გაძევებულ იქნა პეტერბურგიდან. რასპუტინმა პროვინციებში ორი წელიწადი დაჰყო და ამ ხნის განმავლობაში ქალების ქომაგი მას არ მოჰპალებია. ეპისკოპოზ გერმოგენის და ბერ-მონაზონ ილიოდორის წყალობით მას კვლავ მიეცა უფლება პეტერბურგში ყოფნისა. ამიერიდან მან უფრო გაფფრთოვა თავისი გავლენა და მარტო მქადაგებელის, როლითაც აღარ კმაყოფილდებოდა. მას მიაწერენ სინოდის ობერ-პროკურორ ლუკიანოვის გადაყენებას, ცარიცინის ისტორიას, გერმოგენისა და ილიოდორის დაცემას და მრავალ სხვას.

ამ ჟამად „მოხუც“ რასპუტინის მოღვაწეობა დროებით შეწყვეტილია. იგი სასიკვდილოთ დასჭრა ერთმა ქალმა და ნამდვილი მიზეზი ამისა ჯერ არავინ იცის, მთელ ამ ტრაგიკულ ისტორიაში საინტერესოა ერთი რამ: მოიფიქრებდა განრასპუტინი, რომ მას სასიკვდილოთ გაიმეტებდა ქალი, რომლებსაც ასე „უყვარდათ“ იგი?

ქუთაისი.

ახალი ამბავი.

დღეს ქალაქის თეატრში კონსტანტინე ცაგარეიშვილი წაიკითხავს ქართულ ენაზე ლექციას ი. გედევანიშვილის „სინათლეზე“ ფილოსოფიურ-ფსიხოლოგიური ჩახედვა.

✦ თფილისის საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება ქუთაისში. შეიქმნა საბჭოს ატყობიებს, რომ წელს ზაფხულ-

საფრანგეთის იაკობინელები და ჩვენი სოციალ-დემოკრატები.

(იხ. „იმერეთი“ 97-ე №.)

საფრანგეთის იაკობინელებსა და ჩვენს სოციალდემოკრატებს შორის დიდი მსგავსებაა, როგორც რწმენისა, აგრეთვე ტაკტიკის მხრით.

და რა მიზეზებმაც იაკობინელები წარმოშვეს, აამაღლეს და შემდეგ ბოლო მოუღეს, სწორედ ამგვარმავე მიზეზებმა შეუწყვეს ხელი ჩვენი სოციალდემოკრატიის დაბადებასა და ზრდა-გაძლიერებასა და შემდეგ საშინელ რეაქციას მის წინააღმდეგ.

სოციალდემოკრატებს სწამდათ და ახლაც სწამთ, რომ ისინი ერთად-ერთი დემოკრატიული პარტია არიან, რომ მათი პროგრამმა სავსებით ამოსწურავს მთელი დემოკატიის, ხალხის, ყოველგვარ მოთხოვნილებასა და მიმართულებას.

განა ეს იგივე იაკობინური აბსოლიუტიზმი არ არის?

დიაღ! ისინი იაკობინელთა შეცდომას იმეორებენ, რადგან ავიწყდებათ, რომ ხალხის მარტო ერთს პატარა ჯგუფს წარმოადგენენ და, როგორც ნაწილი, ვერ გასწვენ მთელის მაგიერობას. ხალხი—პოლი ორგანიზმია, რომელსაც მიმართულებათა და მოთხოვნილებათა სხვადასხვა ნაკადული ასაზღდავს. ამიტომ არც ერთ პარტიას არ შეუძლია იყოს ერთად-ერთ დემოკრატიულ პარტიად. დემოკატიული პარტია, პირველ ხელისმომწერლებს შემდეგ ნომრითან, რადგანაც ბეჭდვითი საქმის კომიტეტმა ნება დართო მისი გამოსვლისა. სამწუხაროდ, ჩვენზე დამოუკიდებელ მიზეზების გამო იძულებული გავხდით კრებულიდან ამოგვეტოვებინა ორი ლექსი „ძველ ღმერთებს“ და „ამირანი“.

— თბილ. ქართულ გიმნაზიის დირექტორმა ალ. ბეს. მდივანმა სასკოლო საზოგადოების გამგე კომიტეტში შეიტანა განცხადება, რომ გაანთავისუფლონ თანამდებობიდან.

კანდიდატებათ ასახელებენ: ალექსი ჭიქინაძეს, მიხ. თაქთაქიშვილს და სხვ.

— კახეთის რკინის გზაზე ამ ჟამად კვლავ გაცხარებული მუშაობა სწარმოებს. გურჯაანიდან წნორის წყლამდე რელსების დაგება თავდება. დარჩენილია სულ ერთი ვერსტი. წნორის წყლამდე რელსების დაგების შემდეგ დაუყ�ნებითვე შეუდგებიან რელსების დაგებას გურჯაანიდან თელავამდე. ამ შტოზე მუშაობა დაახლოვებით დასრულდება მიმდინარე ივლისის ბოლო რიცხვებში. 8 აგვისტოსთვის განზრახულია გზის კურთხევა, რომელიც თელავში მოხდება.

მიმდინარე თვის შუა რიცხვებში რკინის გზის გამგეობა ქარხნისაგან მიიღებს 22 სამგზავრო ვაგონს. 300 საბარგო მტარებელი და 14 ორთქლმავალი უკვე არის.

— **მახეალ კვესაძე** თავის მომდერალ-მგალობელთან გუნდით ამირებს მოგზაურობას საქართველოს სხვადასხვა დაბა-ქალაქებში.—გუნდი იმოგზაურებს 30 კაცით და გამართავს კონცერტებს შემდეგ ადგილებში: გორში, ცხინვალში, ახალქალაქში, ხაშურში, სურამში, ბორჯომში, წაღვერში, ბაკურიანში, ჭიათურაში, საჩხერეში, სამტრედიაში, ლანჩხუთში, ხონში, ოზურგეთში, ქობულეთში და სხვაგან.—გუნდის მიერ შესრულებული იქნება ძველ ქართველ მუსიკოსების მიერ გადაღებული ხალხური სიმღერები.

წერილი ქუიმებისადმი.

ჩვენ, ექიმებს თითქმის არავითარი კავშირი არა გვაქვს. გარემოების გამო აქეთ იქეთ ვართ დაფანტული და თვითეული ჩვენთაგანი, ცხოვრების მკაცრ ტალღებში მოქცეული, მარტოთ მარტო იბრძვის. ბრძოლა კი ჩვენი ძნელია და აუტანელი. ბრძოლა არსებობისათვის, ბრძოლა გარშემო გამეფებულ სიბნელესა და უვიცობასთან ადვილი არ არის. ამ ბრძოლაში ბევრი ჩვენთაგანი განგმირულა და გულ გატეხილი ეცემა. მწარე ცხოვრებას მხოლოდ კუდში მიჰყვება, მის ზარაზარალად ხდება და საერთო მასსაში გალესილი ვერაკეთარ კვალს ვერ სტოვებს თავის გარშემო. საცოდავნი არიან ასეთები! სამაგიეროთ არიან ისეთებიც, რომელნიც რამდენიმე ათეული წლის წინეთ გამოსულან სამყაროდთ. გამეფულათ ჰკვეთებიან ცხოვრების ტალღებს, გმირულად შებრძოლებიან მის სიბნელე-სიდუხჭირეს, მარჯვეთ უფიქრავთ იგი და არა თუ დაცემულან ამ ბრძოლაში, პირიქით კიდევ უფრო გასალკლდეგებულნი დღესაც ჰაბეკენტრ აგრძელებენ თავის ძმიმე შრომას და არც ფიქრობენ ხელების დაშვებას და უკან დაწვეას. მათ კარგთ იციან, რომ „არც კაცი ვარგა რომ ცოცხალი მკედარსა ემსგავსოს“, და უნდათ სასიკეთოთ აღბეჭდონ ნაკალი. ჩვენში ყველა მოღვაწეს და პროფესიონის ხალხს უფასდება ღაწული და შრომა. ყოველი პროფესია ცდილობს თავის ღირ-ღირსეული წევრის განვლილი სამსახური მოიგონოს, რამეფრათ აღნიშნოს იგი და მშრომელს მადლობა უთხრას კეთილი ნაშრომისათვის, ამ ბოლო დროს ჩვენმა სკოლის მასწავლებლებმაც კი დიდი უნარი გამოიჩინეს ამ მხრით. იგინი უკვე ემზადებიან ხალხის საკეთილდღეოთ ნამოღვაწეე პირებს იუბილე გადაუხდონ. გაჩუმებული ვართ მხოლოდ ჩვენ—ექიმები. ჩვენშიაც ხომ ბევრია ხალხისათვის ნაშრომი და ნაამაგდარი. ექიმსაც ხომ დიდი ტვირთი და მოვალეობა აწევს კისერზე. იგია ხალხის ჯანმრთელობის და მასთან ერთათ მისი კეთილდღეობის მცველი, გამმაგრებელი და თანეე ხალხის—მასწავლებელიც. ექიმის ყურსა და თვალს ხალხის ცხოვრებაში არაფერი არ გამოეპარება. მისთვის იქ დამალულიარაფერია. ყოველი მაშვრალთ და ტვირთ მძიმეთ თამამად და სრულის ნდობით მოიაქვს ექიმთან თავის მწუხარეა და ტაკეილები და ელის მისგან სიტყვას ნუგეში ცემისას და განკურნებას. ექიმი ამის გამო მუდამ ხალხის პირსა და მწუხარების შუა გულშია და მასთან (ხალხთან) იწვის და ნდება. ამის გამო მისი ხალხისადმი სამსახური არც ისე ადვილი და მჩატეა, როგორც ეს ერთი შეხედვით კაცს ეგონება. 20—30 წლის ასეთი ადამიანის სამსახური ღირსია, რომ საზოგადოებამ გიახსენოს და აღნიშნოს, რომ ამით მცოდან მოღვაწეს შრომისთვის მადლობა უთხრას და ახალგაზდანი კი სამოქმედოთ გაამხნევ-წაადეზოს. ერთ ასეთ მოღვაწეს ეკუთვნის ექიმი პოლიკარპე ივანეს ძე ჩხიკვიშვილიც, რომელსაც სწორედ ამ თვის 10 გაუხდა 30 წელიწადი, რაც კეთილად შრომობს და მოღვაწეობს. ჯერ ეხლაც გვარიანი სიბნელე და უვიცობაა ჩვენში და ადვილი წარმოსადგენია თუ რა იქნებოდა ოფლებში ამ ოცდაათი წლის წინეთ, როდესაც ხალხს ნასწავლი ექიმის არსებობა თუმცა ამბათ გაეგონა, მაგრამ ბევრს თვალითაც არ ენახა, როცა ექიმის „სტეტასკოპი“ ავადმყოფს და მის პირისუფლებს რევოლვერი ან სხვა რაღაც საშიშარი მანქანა ეგონათ და თავზარ დაცემული გარბოდენ. ასეთ პირობებში დიდი სიმაგრე, გამბედაობა და ნამდვილ ხალხის სიყვარული უნდოდა კაცს, რომ ყოველივე უპირატესობანან სამსახურზე უარი ეთქვა და კერძო პრაქტიკის საშვალებით დაეწყო ხალხში მოქმედება. ტრამაპატივცემული ამბანაგი, პ. ი. ჩხიკვიშვილი სწორეთ ასე მოიქცა. ჯან- თავის ცოდნის, ვამოცდილების, ენერგიის და ფულადავი მეცადინეობის წყალობით გარშემო გამეფებულ ბნელს დასძლია; ხალხს, მეცნიერული ექიმობის უპირატესობა თვალსაჩინოთ დაუტკაცა და ის ბნელი მასსა, რომელიც წინათ მკითხავ მარჩიელებს და ჯარა ექიმებს არ შორდებოდა, ღღეს მეცნიერებაში ეძებს თავის პირთა-ხსნას და სენთა კურნებას, რითაც მას ბევრი უბედურება კიდეც მოაკლდა და შეუმსუბუქდა.

მე მგონია ჩვენ საზოგადოებასთან ერთად ექიმთა კორპორაციამ უნდა მოიგონოს ამ პირის განვლილი სამსახური, რამეფრათ აღნიშნოს იგი და ღირსეულს მადლი უთხრას ჩუმი, ფრიად ბნელი და დიდათ სასარგებლო სამსახურისათვის. როგორ და რანაირად უნდა მოხდეს ესა, ამაზედ იმეფია იმრჩუნებს ხონის საზოგადოებასთან ქუთაისის ექიმთა საზოგადოებაც, რომელსაც ყოველივე საშვალება ხელს უწყობს, რომ ამ საქმეს თავი მოაბას. რა თქმა უნდა, რომ ჩვენში სხვებიც ბლომათ არიან ამ ნაირათ ნამსახური და მათაც გაიხსენებს ვფიქრობ თანანდროვე ჩვენი საზოგადოება. იმედია სხვა ექიმებიც თავიანთ აზრს გამოსქვამენ აღძრულ საკითხის შესახებ.

მეზობელი ექიმი.

ქართული ენა და სამურძაულნოელნი.

სამურძაულო არ არის ისე ცნობილი, როგორც სხვა ნაწილები ჩვენი სამშობლოსი, ამიტომ საჭიროა მოკლეთ შევეხოთ მის გეოგრაფიულ მდგომარეობას. სამურძაულოს უპირავს ქუთაისის გუბერნიის განაპირა ადგილი, სადაც ნაკლებათ ხვდება ჩვენს ხალხს ამ ადგილში გაელა, რომ საშუალება მიეკეს გაიცნოს ეს ბუნებით დაჯილდოებული ქვეყანა. აღმოსავლეთით სამუთაულოს: აზუკავის სანაეთი და სამეგრელო, ჩრდილოეთით კავკასიონის ქედი, დასავლეთით—აფხაზეთი და სამხრეთით შავი ზღვა. როგორც ვიცით, სამურძაულოს 2.000 ოთხკუთხი ვერსი უკავია და სცხოვრობს ამ ადგილზე 50.000 კომლი სამურძაულოელი (ასე უწოდებენ თავის თავს). ამ პატარა ქვეყანას ბევრი რამ გადახდენია თავს და თავისი ისტორია აქვს მასაც, მაგრამ ამ ჟამთან ჩვენ გვსურს მივაქციოთ მკითხველის ყურადღება იმას, თუ რა მდგომარეობაშია იქ ქართული ენა და რა ყურადღებას აქცევენ მას სამურძაულოელნი.

იმისთანა კუთხეებში, როგორც მაგალ. სამეგრელო, სვანეთი, სამურძაულო და სხვ., სადაც მკვიდრნი, უცოდინარობისა გამო, ვერ ლაპარაკობენ ქართულად და მხოლოდ მის მონათესაოვე ენაზე საუბრობენ, ქართული ენის ჭირისუფალი უნდა იყოს სკოლები და ეკლესიები, ეს ორი, ენენ პოლიტიკური ორგანიზაციებისაგან, თავისი საკუთარი გზით ვ�ლოთ.

ამბობენ კიდევ: სოციალდემოკატიული პროპაგანდა მუშათა შეგნებასა და განვითარებას შეეფილსო. ეფიქრობ, რომ არა. პროპაგანდა უნდა იყოს, როგორც სოციალდემოკატიული, აგრეთვე ფედერალისტური, ნაციონალ-დემოკრატიული, კონსტიტუციონ-დემოკრატიული, პროგრესსისტული, ხალხოსნური და სხ. ცალმხრივი პარტიული პროპაგანდა ავიწროებს მუშის გონებრივ ჰორიზონტს. დიაღ, პროპაგანდა მრავალმხრივი უნდა იყოს, ე. ი. მუშამ ყველა პარტიას უნდა მოუსმინოს, ყველა პარტიის მიმართულებას უნდა უგდოს ყური, და არც ერთი პროგრესიული პარტიის ლიტერატურას არ უნდა გაურბოდეს მხოლოდ მაშინ იქნება მისი მსოფლმხედველობა ფართო, ღრმა და დამოუკიდებელი.

ვიწრო პარტიული პროპაგანდა მუშის გონებას თავისუფლებას, დამოუკიდებლობას ართმევს, ამინებს, ფანატიზმს უნერგავს. ამგვარი მუშა გაურბის სხვა პარტიის ლიტერატურას, როგორც ჭირს, თაყვანსა სცემს მხოლოდ თავისი პარტიის ბელადებს, სხვა მწერლები და მოღვაწეები კი რეაქციონერები ჭგონია, სწამს მარტო თავისი პარტია და ფიქრობს, სხვა ყველა ეშმაკისაგან არისო. ის ჭეროვით იმას ამოიძახებს ხოლმე და იმეორებს, რასაც პარტიული ბელადები ჰქადაგებენ, და დაუფიქრებლად, ბრმად, უკრიტიკოდ მიჰყვებიან მათ,

ქართველ ხალხი ამ ბოროტ ბილიკზე, ეს ორი ფანატიზმი, ეს ორი ბოროტი ბილიკი ბევრ ბოროტებას ბადებს. ეს ორ

ასე ვოქვათ, დაწესებულება არის მისთანა
დაწესებულება, სადაც თავს იყრის მთელი,
ხალხი და ვერც ძალუძს ასკილდეს მას.
ორ დაწესებულებას სათანადო ენერგიით
შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს
ხალხს და დიდი როლი ითამაშოს მის
ცხოვრებაში საზოგადოთ, კერძოთ კი მის-
თანა ადგილებში, როგორც მაგ. სამურძა-
ყანოა. სკოლა და ეკლესია, სხვათა შო-
რის, უნდა აკავშირებდეს ხალხს სულიერ-
ათ, უნდა აყენებდეს მას კეთილ გზაზე
და მთ მესვეურთ უნდა ეჭიროს ხელში
ლამპარი მდაბიო ხალხის გასათვითცნო-
ბიერებლათ, წყვდიადის გასაფანტავათ, მაგ-
რამ ჩვენდა სავალალოდ, ვერც სკოლები
და ვერც ეკლესიები სამურძაყანოში ნათ-
ლად ვერ ასრულებენ თავის მოვალეობ-
ას.

რასაკვირველია, ამას თავის მიზეზები
აქვს, მაგრამ შედარებით სხვას მაინც არ
უნდა ჩამორჩენ უკან და სხვისთან ერთად
საერთო ფერხულში უნდა იყვენ ჩაბმული.

როგორც ყველგან, ჩვენში, ისე სამურ-
ძაყანოშიც სკოლა შორს არის დაცილე-
ული ხალხზე. სწავლა-აღზდის საქმე იქ
ვერ არის დაყენებული წმინდა პედაგო-
გიურ პრინციპებზე. ამის მიზეზი ბევრია,
მაგრამ ყველაზე თვალსაჩინო კი სკოლებ-
ში დედაენის მაგიერათ ორი ძნელი ენაა:
რუსული და აფხაზური, რაც ბავშვებს
აუტანელ მდგომარეობაში აგდებს ორი
ძნელენის ერთად გამკლავება. თუ რის-
თვის ასწავლიან ზოგიერთ სამურძაყანოს
სკოლაში აფხაზურს და რა აქვს მიზანი ამ
ენის სწავლებას, კომენტარიები არ არის
საჭირო მისთვის, ვისაც თვალი უდევნე-
ბია აფხაზეთ-სამურძაყანოს ცხოვრების მიმ-
დინარეობისათვის.

როდესაც ვეუბნებით ქართული ენის მდგომა-
რეობას საზოგადოთ სამურძაყანოში ან კერ-
ძოთ კი სკოლებში, იბადება შემდეგი კითხ-
ვა: თვით მცხოვრებნი—სამურძაყანოელნი,
როგორ უყურებენ ქართულ ენასა, რა
ყურადღებას აქცევენ მას და როგორი
აზრისა არიან მისი სკოლებში შემოღე-
ბისა? ამ კითხვებზე ჩვენ თამამათ შე-
გვიძლია დადებითი პასუხი მივსცეთ. ეს
ასეც უნდა იყოს. მას შემდეგ, რაც სა-
მურძაყანოელი გადმოამიჯუნებს ფეხს თა-
ვის სახლის საძირკველზე, ირგვლივ ქარ-
თული ენა ესმის; მიწერ-მოწერა ხომ
სულ ქართულათაა, მაშასადამე, ერთი
უბრალო წერილი რომ მოუვიდეს სი-
ფანმე, თვითონ ვერ წაიკითხავს და ან
უნდა გაიქცეს, გაიაროს რამდენიმე მან-
ძილი, მივიდეს სოფლის მასწავლებელ-
თან, თუ ეს უკანასკნელი ქართულის
მცოდნეა და წააკითხოს მას, ან და თა-
ვადთან, ან აზნაურთან გაიქცეს, რო-
მელთაც სამურძაყანოში და აფხაზეთშიც
ეარგათ იციან ქართული და ოჯახშიც
ეშველეს შემოხვევაში ქართულათ ლაპა-
რაკობენ. ამნაირ უხერხულ მდგომარეო-
ბაში ჩაყენებამ ჩაფიქრა სამურძაყანო-
ელნი, მათ კარგად დაინახეს და იგრძ-
ნეს დედა ენის აუცილებელი საჭიროე-
ბა და მოითხოვეს, რომ სკოლებში ქარ-
თულიც შემოედოთ, რისთვისაც ადგენ-
დენ განაჩენებს და ითხოვდნენ ქართული
ენის შემოღებას სკოლებში, მაგრამ მათი
თხოვნა დღემდი თხოვნათ არის დარჩე-
ნილი. ხშირად მოსულან მცხოვრებ-
ნები მასწავლებელთანაც, შეხვედწინან
რამე ნაირად შეესწავლებია ქართული
მათთ შვილებისათვის, მაგრამ ერთმა და
ორმა კაცმა რა უნდა ქნას, თუ ათი და
ასი ხელს უკარავს.

- მაშასადამე, სამურძაყანოელთ სურვი-
ლი აქვთ ქართული ენის შესწავლისა,
მაგრამ მათ სურვილს სკოლები ვერ აკმა-
ყოფილებენ და ერთ მთავარ მიზეზათ ეს
უნდა ჩაითვალოს, რომ სამურძაყანოს
სკოლებს ხალხი გაურბის და მოსწავლე-
თა რიცხვი მეტად მცირეა. მაგალითად,
მისთანა ვეებრთელა სოფელში, როგორ-
რიც არის ს. ბედია, რომელშიც მცხოვ-
რებთა რიცხვი ათას ორასაზედია, მეოთხე
და მეხუთე განყოფილებაში 1911 წ.
მხოლოდ თერთმეტი მოწაფე ითვლებო-
და და მთელ სასწავლებელში კი ორ-
მოცამდი ძლივს ადიოდა. რომ ეს ასე არ
გაგრძელდეს, სკოლა ახლოს უნდა იდ-
გეს ხალხზე, იგი ჰუმანიურ დაწესებულე-
ბათ უნდა იქნეს აღსარებული, სადაც
ნორჩი თაობის სულიერ ძალებს შეეძლოს
თავისუფლათ გაფურჩქნენ სამშობლო ენის
საშუალებით და მაშინ კი ისე ცარიელი
აღარ იქნებიან სამურძაყანოს სკოლები,
როგორც არიან ამ ჟამათ.

სამურძაყანოში არც ეკლესიები თავი-
სი წინამძღვრებით დგანან კეთილ სი-
მაღლეზე. ზოგი სულიერი მამა ქრის-
ტეს მოძღვრების მსახურების მაგიერათ
ეკრპებს ემსახურება და წარმოიდგინეთ,
რომ პოლიტიკანობს კიდეც, როგორც
მაგალითად, ეს ჩაიდინა ერთ დროს
ბლაღოჩინმა მ—ნიამ ბედიის პატიცეკ-
მულ მამა იესე შელიას მიერ აშენებული
საყდრის კუთხეკის დროს ს. ბედიაში.
იმის ისტორიას აღარ მოვკვეთი აქ, რაც
ამ „სულიერმა მამამ“ ჩაიდინა იმ დროს,
თავის დროზე ეს ერთ-ერთ ეკონომი
იყო გამოქვეყნებული, მაგრამ საზოგა-
დოთ საჭიროა, რომ ქრისტეს მიმდე-
ვარი თავის ნების მიმდევარი არ უნ-
და გახდეს, თორემ სამურძაყანოელებმა
კარგად იციან როგორ უნდა მოიქცენ,
მხოლოდ საჭიროა ხელმძღვანელი. თუ
სამურძაყანოელთ ხელმძღვანელი ეყოლა,
ხალხი საკმაოდ არის გამოფხიზლებული
და ეს გამოფხიზლება ნათელი მაჩვენებე-
ლია, რომ იქ ვერ გაიმარჯვებს სამო-
ლო

ოთ ის ტენდენციები, რომელიც არის
მიმართული სამურძაყანოელთ კეთილ გზა-
ზე ასაკთენად და ეს კეთილ მალე საქარ-
თველოს ერთ საუკეთესო ნაწილად გა-
ქცევა, რასაც, სხვათა შორის, დიდათ
შეუწყობს ხელს ბედიის ძველი მონასტრის
განახლება.

ბაგრატ გეგეშრალელი.

P. S. სოფ. ბედიაში (სამურძაყანო) გა-
მოჩენებული მაღლობზე მეფე ბაგრატ მე-
სამესაგან მე X საუკუნეში აშენებული
მონასტერია, რომელიც ამ ჟამად დამ-
ლებული სდგას და განახლებას ელის.
ამ მონასტრის იქვე მახლობლად მამა იე-
სე შილიამ ა

ბატარა საყდარი, რო-
მელშიაც დღეს არის გაჩაღებული ღვთის
მსახურება სამშობლო ენაზე.

მამა იესე შელია დიდი მოყვარეია
ჩვენი სამშობლისა, ამასთანავე გამოცდი-
ლი, ჭკუანი, სათნო და ღრმა აზრების
პატრონი. ერთერთ ბაასის დროს მ. იე-
სემ, სხვათა შორის, გამიჩიარა თავისი
აზრი იმის შესახებ, თუ ვის ვენდო და
ვის ჩავაბარო ეს ჩემი დაწყებული ნა-
შრომი საქმეო. მ. იესე შეუდგა ძველი
მონასტრის განახლებას და თითქმის მა-
ლეც მოათავებს.

რამდენიმეჯერ მთხოვა მონასტრისთვის
მომეკითხა და მეშოვა მისთანა „სანდო“
კაცი, რომელიც მონასტრის წინამძღვრად
გამოდგებოო, მაგრამ არავინ გამოჩნდა
ეს თხოვნა თხოვნათ არის დარ-
ჩენილი. სასურველი იქნება, თუ კი ვინ-
მე მოიპოვება ზემო აღნიშნულ თანამდე-
ბობისათვის, პრესის საშუალებით შეგატყო-
ბინოს ან თვითონ გაიგოს ამბავი მ. შე-
ლიასთან, რითიც დიდ სამსახურს გაუ-
წევს ამ საქმის დაგვირგვინებას. სასურ-
ველ კაცის ხელში ეს მონასტერი დიდ
როლს ითამაშებს სამურძაყანოელთა ცხოვ-
რებაში.

ბ. გ.

რუსეთი.

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

არეას საგაზეთოების დახურვა.

ორენბურგის გუბ. სასოფ. საზოგადო-
ებათა განაჩენით ივნისში დაიკეტა 18 აპ-
ყის და 22 ლუდის დუქანი.

ვასილ საბრეთა მოქალაქეთ არჩევა.

ალექსინის ქალაქის თვითმართველობამ
ამოირჩია საპატიო მოქალაქეთ განათლე-
ბის მინისტრი კასო.

ქარხანაში საქმანლის გადაწვა.

პეტერბურგში ნევის გემთ-საამშენებლო
ქარხანაში დაიწვა სხვადასხვა განყოფილე-
ბა. ზარალი 400.000 მანეთს უდრის.

სახ. განმ. მინისტრის ცირკულარი.

გამოქვეყნდა სახალხო განათლების მი-
ნისტრის ცირკულიარი, რომელიც შეი-
ცავს დამატებით წესებს საშუალო სას-
წავლებლებში ებრაელების მიღების შესა-
ხებ.

შლისელბურგის საკატორღო ციხეში.

შლისელბურგის საკატორღო ციხიდან
ტუსაღებმა გაქცევა განიზრახეს. იდმინის-
ტრაცია უკანასკნელ დროს თვალყურს
ადევნებდა ზოგიერთ ტუსაღთ, რომელთა
მოქმედებამ მას ეჭვი აღუძრა. მოახდინეს
ჩხრეკა, მარა ვერაფერი აღმოაჩინეს. ამ
დღეებში ერთმა დარაჯმა ვიდაცები შე-
ამჩნია ციხის ტალანში. მოვიდენ სხვა და-
რაჯებიც და ნახეს დამალული ტუსაღე-
ბი. ჩხრეკის დროს ერთი ყამრის ჭერზე
ხვრელი აღმოაჩინეს. ავიდენ სახურავზე
და იქ ორი კატორღელი ნახეს. გაძალეკა
ათს კაცს განუზრახავს. კატორგელებს
განზრახავა ჭერნიათ სახლის სახურავიდან
თოკებით ჩასულიყვენ ძირს და ციხის ნა-
ვით გასულიყვენ მეორე ნაპირს. ამის შე-
სახებ ვრცელ მოხსენებას წარუდგენენ ცი-
ხეთა სამმართველოს უფროსს. (რ. ს.)

სამა ეკსპედიცია.

ამ დღეებში ავიატორი ივსიუკოვი მურ-
მანის—ალექსანდროვსკში გიმგზავრება,
შეუერთდება ნორვეგიის კაპ. სვერდრუპის
ეკსპედიციას, რომელიც კარსკის ზღვაზე
მიემგზავრება რუსანოვის, ლეტტ. ბრუსი-
ლოვის და სხ. საძებრათ.

ვლადივოსტოკიდან ვიღნიკის ეკსპე-
დიცია პოლიარულ წყლებისკენ მიემგზავ-
რება. მას შეუერთდა ავიატორი ალექსან-
დროვი. მესამე ექსპედიციაში, რომელიც
გიემგზავრა სედოვის და მის თანამგზავრ-
თა საძებრათ ფრანც იოსების ქვეყანაში—
ჩაეწერა ავიატორი ნაგორსკი. (რ. ს.)

მდელვარება დაღესტანში.

დაღესტანში სოფლის მწერლების და-
ნიშვნამ დიდი მღელვარება გამოიწვია,
რომლის დროსაც მოჰკლეს ერთი მწერა-
რალი და ერთ ოლქის უფროსს სცემეს.
ხუთიათასი შეიარაღებული მცხოვრები
მთებიდან ბარათ ჩამოვიდა, გარს შემო-
ერტყა გუბერნატორის ბინას და აიძულა
უარ ეყო მწერლების სოფლებში გაწესება.
(რ.)

უცხოეთი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

სუფრაჟისტების განდაბიზმი.

ლონდონში სუფრაჟისტმა ქალმა ნაჯა-
ხით ეროვნულ მუზეუმში ისტორიკოსის
კარლეილის სურათი გაფიუჭა, მხატვრის
ჯონ მალეს მიერ დახატული.

ულსტერის საკითხი.

საპარლამენტო წრეებში იმედოვნებენ,
რომ ულსტერის საკითხი მოწესრიგებული
იქნება. ასკვიტმა კარსონთან ითათბირა.

საპარლამენო კომისიაში საფინანსო
ბილის მეორე კითხვა დასრულდა.

დატესადება ავსტრო-უნგრეთში.

იმპერიის სამხრეთ მხარეებში ყოველ
დღე აუარებელი ხალხს იჭერენ, რადგან
ეჭვი შეაქვთ რომ მათ მოსწონთ სარაევო-
ში მომხდარი ამბები. მათ ბრალსა სდებ-
ენ სახელმწიფო ღალატს და მეფეს შეუ-
რაცხყოფას, აუარებელი ჩხრეკაა. ბევრს
შეპყრობილთაგანს საკატორღო ციხე
მიუსაჯეს.

მღელვარება სპარსეთში.

მეჯლისის არჩევნებით გამოწვეული
მღელვარება ჯერაც არ დასრულებულა.
ეგნერალ-გუბერნატორებმა მოწერილობა
მიიღეს, რომ დეპუტატები დაგვირგვინე-
ბის დღესასწაულზე დასასწრებლად გაე-
მართონ. დეპუტატებმა უარი სთქვეს, რად-
გან საარჩევნო კომისიის ზოგიერთ წევრებს
– საარჩევნო ოქმებზე ხელი არ მოუ-
წერიათ.

მექსიკის ამბები.

ეგნერალი ვიდ[illegible] ... ად დაინშნა. [illegible] ... ში განკარგულება მოახდინა დაუყონებ-
ლივ გაანთავისუფლონ ყველა პოლიტი-
კური პატიმარი. მომავალი ნაბიჯები შე-
ერთებული მექსიკისადმი დამოკიდებულია
კარანცასა და კარბახალის შეთანხმე-
ბაზე.

კარბახალამ კერძოთ აცნობა პრეზი-
დენტს ვილსონს, რომ იგი თანახმაა უარ-
ი სთქვას პრეზიდენტობაზე კარანცას
სასარგებლოდ. სან-დომინგის ცნობით
ინსურგენტებმა ქალაქის ორი განაპირა
ადგილი დიაპყრეს.

ალბანეთში.

პარლამენტარებმა მეამბოხეებისგან ბევ-
რი წერილი მოიტანეს რუსეთის, ინგლი-
სის, იტალიისა და საფრანგეთის წარმო-
მადგენელებისთვის.

გარტვიგის გარდაცვლების გამო.

ვენაში გადაწყვეტილია მოსთხოვონ სერ-
ბიის ოფიციალურათ უარყოს უკანას-
კნელნი „ბელგრადის ტერიტორნნ“ წერი-
ლები, რომლებშიც ბრალს სდებენ ავს-
ტრიის ელჩს გარტვიგის სიკვდილში,
რომელიც გარდაიცვალა ელჩთან მოლაპა-
რაკების დროს იმ ბრალდების შესახებ,
თითქოს გარტვიგს მონაწილეობა მიეღოს
ერეკგერკოის მკვლელობაში.

ბელგრადის გაზეთები ავსტრიის საწი-
ნააღმდეგო წერილების ცხარე კილონ
უმწვერვალეს წერტილამდე მიაღწია წერი-
ლებში აღნიშნავენ, რომ ბარონი გინეა
დამშვიდებულა გარტვიგის სიკვდილში. ქალაქ-
ში ხმა გავრცელდა: გარტვიგს ავსტრიის
ელჩთან მოწამლული ჩაი დაალევინებსო.
ბრბოს განზრახვა აქვს დაეცეს თავს ავს-
ტრიის საელჩოს.

სამთა კავშირის ნოტა.

ოსმალეთს გადასცეს სამთა კავშირის
ნოტა, რომელშიც ნათქვამია, რომ თუ
ოსმალეთმა კიდევ განაგრძო აჯანყებულ
ალბანელთა დახმარება, ეს გამოიწვევს
სერიოზულ შედეგებს და საქმის გართუ-
ლებასო.

უცნაური ამბავი.

(წერილი რედაქციის მაბრძ)

ბ. რედაქტორო! გოსოვთ უმორჩილესო
თქვენს ეტეუტემულ გაზეთ „თემის“ უმა-
ხლობელეს ნუშრუნა ადგილი დაუთმოთ შემ-
დეგ სტრაქონებს:

მამაძინარე წლის ამრიალს დამდეგ რაც-
სვეტში შემოხვეგა ქმონალ და მოვდიოდი ქ.
სარატოვიდან რაზხნ—ურალს რკინას
გზით ცარეგის მაზრაში სოფელ ელიტონში,
ჩემ ორი ბაეშვი. სარატოვიდან, რომ გა-
მოვედი, მატარებელში, სადაც მე ვიჯექი
ჩემს ბერდაბერ მხრ თეძოზე ეშმაკოდ ილი
ახალგაზდა შეკვეგმანი ეშმეკიდა,
რომელიც ეკზეთის ეროთბოდა.
როცა შეეხეშნე ქრთულ გაზეთს სათეკრად
დიდი ასაბაი „თემა“ ეწერა, გაიცინარა,
ქართველ კაცს შეეხედა ჰეკ-ეკ-თქო. რაც ჩვენ
მხარეს მოეთრდა, მის შემდეგ ძალიან
ქეიფად შეეხეკრეარ ქართველს, ამიტომაც
დაადგ მესაამოეს მისი დასხეგა და შეტ
ეფერო თამამად დეეკეკი მის ახლოს. როცა
მან შეინშნ მის ახლოს ქადი, ისიც გა-
ბას. გაზეთის დამტარებელი მოგაჩეჩებს
ხელში სოციალდემოკრატიულ გაზეთს, სხვა
გაზეთს კი დამლოავს და, თუ ძალიან არ
ჩააცვდი ან არ შეარცხვინე, არ მოგაწო-
დებს.

გუერიაში არასოციალდემოკრატიულ
გაზეთებს დღემდის ბოიკოტი ჰქონდათ
გამოცხადებული. და გურულებს, რო-
მელნიც მოძრაობამდის სხვებზე წინ იდ-
ვენ, ბიზანტიური ამბაუბდისა და დოგ-
მატიზმის გამო, დღეს გზაკვალი არეკვიათ!
საბრალოა გონებრივი მხრით ის, ვინც
მარტო სოციალდემოკრატიულ გაზეთებს
კითხულობს!

1907 წელს ერთ გაზეთში ვპუბლიკდი.
გაზეთის საქმე კარგად მიდიოდა. არ გა-
ულია მცირე ხანს, რომ დამტარებები
გაგვეფიცენ და თითო გაზეთზე ორ-
ორი კაპ. მოითხოვეს, მაშინ როდესაც
სოციალდემოკრატიული გაზეთისაგან მხოლ-
ოდ თითო კაპ. ჰქონდათ. გავმართეთ
მოლაპარაკება, ავუხსენით გაფიცულებს,
რომ ეს უსამართლობაა და გაზეთს პარ-
ტიულსა და არაპარტიულსა, სოციალ-
დემოკრატიულსა და პროგრესსიულსა, თან-
ასწორად უნდა ეპყრობოდეთ, რადგან
უამისოდ აზრის თავისუფლება შეიბოჭე-
ბათქო. შეჩერდენ, რაყეა დაწყეს, თა-
ვის გამართლება გაუჭირდათ. შემდეგ
მობძანდა სოციალდემოკრატიის წარმო-
მადგენელი და განაცხადა: გაფიცულნი
სოციალდემოკრატიის ხელმძღვანელობით
მოქმედობენო. მოვერიდეთ უსიამოვნებას,
დავუთმეთ და ნახეკარი კაპ. ვაძლიეთ
ზედმეტი, თუმცა, მათნი უფრო ღარიბე-
ბი თუ ვიყავით, თვარა უფრო მდიდრე-
ბი ხომ ვერ ვიქნებოდით!

განა ეს დეენა არ არის სხვა მიმართულ-
ების მწერლობისა?

მაშასადამე, ამ მხრითაც დიდია მსგავ-
სება იაკობინელებთან, რომელთაც თავის
მოპირდაპირეთა ეურნალები გააჩუმეს.

იაკობინელებმა არ მიინიქეს თავისუფ-
ლება მუშათა კოალიციებს, ამხანაგობა-
თა და კრებათ. და ჩვენი სოციალდე-
მოკრატია, ისე გაშინჯეთ, ამ მხრითაც
კი ემსგავსება მათ: ის ცდილობს, ხელში
ჩაიგდოს და პარტიულ მიზნამდ დაუმორ-
ჩილოს მუშათა პროფესსიონალური კავ-
შირები; მოძრაობის დროს ნებას არ
აძლევდა სხვა პარტიის წარმომადგენ-
ლებს, გაემართათ კრება და ჰქონდათ
თავისუფალი მსჯელობა. და, ცხადია აქაც
იგივე აბსოლიუტისტური მიდრეკილება
გამოსქვივის, რომელიც აღიარებს: სო-
ციალდემოკრატია ერთადერთი სახალხო
პარტია არის, რომელსაც ყველაფერი
შეუმცდარად შეუძლია მოაწყოს და მო-
აწესრიგოს; სოციალდემოკრატია თვით
ხალხია; სოციალდემოკრატია—ყველაფე-
რია, აბსოლიუტია და სხ.

ისარა.

(შემდეგი იქნება).

როგორც ომში ჯარისკაცები სარდლებს.
მაგვარი დისციპლინა შეიძლება სა-
ეროოდ იყოს პარტიის მთლიანობ-
ისა და გაერთიანებული, მწყობრი და
დაუბრკოლებელი მოქმედებისათვის, მაგ-
რამ მაგიერად ხდის მუშებს სხვის მორ-
ჩილ-მონებად, უბრალო ბრბოდ და არა
ეგნებულთა კავშირად.

ვიცი, ცოლს დამწამებენ და მეტყვიან:
„მაგ შენ მუშები ბრბოდ მიგაჩნია, რა-
ა!“ აი ჩემი პასუხი. ყოველი წრის კა-
ტ წარმოადგენს ზოგიერთ პირობაში უბ-
ალო ბრბოს ელემენტს, ვინც უნდა იყოს
ის, მუშა თუ პროფესსორი, და აქ არა-
ფერი არ არის დასამცირებელი მუშათა-
ვის, რადგან პოლიტიკური პარტიის ყო-
ველი წევრი, მეცნიერიც რომ იყოს,
ბრბოს ელემენტია, თუკი ფანატიკურად
ერწმუნ თავისი პარტიის დოგმები და
ოველ-ახვეული მიჰყვება პარტიულ ბე-
ლადებს.

და მხოლოდ იმას ვამბობ: არ არის
კარგი, როდესაც მუშის გონება ერთს
ერომელსამე პარტიას შეუბოჭავს, შეუბორ-
ავს, შეუკვრია, დაუმნაავებია და შეუ-
ეწყრობია. და, როდესაც ის გონების ამ
ეტეუტეველს, შემავიწროებელს, განმაა-
ბეგრუტებელ ბორკილს თავიდან მოიშორებს,
ხმლოდ მაშინ იქნება დამოუკიდებელი
და შეგნებული, ე. ი. აღარ იქნება ბრბოს
ელემენტი.

პარტიულ დისციპლინასა და მუშობას
ის დიდი ნაკლი აქვს, რომ აშეშებს, უცვ-
�ელად ხდის გონებრივ მოძრაობასა და

სავაჭრო სახლი **ი. გოკიელის** შვილების ქუთაისში.

ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ, **ზოგიერ ფასებში** საუკეთესო ხარისხის საზღვარგარეთის **ჯიბის დანები,** მიღებულია და იყიდება პორფთელები, უბის წიგნაკები (ენციკლები), საანგარიშო ჩოთქები, ყოველ ნაირი საწერი, საბეჭდავი და ფოშტის ქაღალდები.

დეკო. ლამპეულის, ჟურნალეულოგის, ავეჯეულოგისა და ელექტროენის მოწყობილობა ქ. ქუთაისში. **ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა.** **მიხაილოვის ქუჩა,**

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმარტურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ საღავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულო ნინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვიპრობა დანიშნულიანადდა, ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალ.ურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურად მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი. პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

დეკო. ლამპეულის, ჟურნალეულოგის, ავეჯეულოგისა და შპალეერისა ქ. ქუთაისში. **ფ. ს. ფილიპოვისა.** **ალექსანდრეს ქუჩაზე.**

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმარტურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ საღავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულო ნინოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის“ სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვიპრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

სწორდა და ბავშვებისათვის დასაჯდომი ადგილი დამეთმო და რუსულად დამელაპარაკა. როდ მე ქართველად ვუპასუხე, დაკვირვებით მეკითხა, ქართველ ქალს აქ რა გინდაო. მეც მოუუეეე ეოველოვე და მათ კეკიცხეთ ერთმანეთი, იმისც თამამთ ეოველოვე თავისი და კმეენნო როგორც კალიე სახრულიძებეკრი რამ თამმთ ითხ ჩვენი მხრის შესახებ, თუ რანაირად მიდის საქმე წინდაწინ, მაამთო ისიც, რომ ახლო მოიკვლდნი თეკლისში ბიდეატეხიკემიც კვკეენეთო და სხვა მრავალი.

ამ მუსიფში გამოვაჩარეთ რამდენიმე სადგური. რიგ სადგური ჯეეზეეგი კამოვიჩეთ, მე ვიკონში მეტი სავაჭროვის კმეი კარეკ კამოვეკდი, რომ სუფთა ჰაერზე ამიმეუსნოქს, ბავშვებიც თან კამოვეეეეეენ. კ. სახარულიძეს კი, როგორც ნაბეზაგრს მიეძინა. დამეჩინა მისი კიდეკეები, რეკ მერე ბეკრი ვინანე.

რიგი კარეკ კამოვეკდი, მოპირაპირე ვიკონის წინ სამი ვიეიკ უნოთი ბარი იდგა, ჩეეს კამოსეკლაზე ამ ბარებს ერთი-მეორეს შეეცინეს. ამისათვის არავითარი ეეერადღეეა არ მამიქეკეეთ, რადგანაც ზოგიერთ მამეკეეთმა ხშირად იდგან ქალის დანახვაზე დრეკეეს და სხვა კიდოზე დაბარაკეა. მეც მეკონა ამით კეთილდებოდა საქმე, მაგრამ მოაკლეკეედა... მთ კამბრეეს ხშირა ჩეეზეკეი ერთმანეთთან ჩეეთვის გაუეეებარ ენაზე და ხშირად შემოიშეკეეედენ ხოდმე, რაკი ვიგრძენი, რომ ეკენი რადაც ჩეეზე ფიქრობდენ, მოვინდომე ისეეე ვიკონში შესეკლა, მაგრამ გზაში კადამდობენ და არ დამეკიდეკენ შესეკლა. ამ მოედდენკენმა შემოხეეკეთ დამეკარეკ ეოველეკეე სასოკეთ და ვერფრაკ თქმა ვერ მოკახერხეკ, ისე ჩამეკარდა ენა. ეს ბარები რადაკან მთხოვდენ გეეებარ ენაზე და მეძალებოდენ. ამ სურათზე მორთეკ ბავშვებმა სახრეკი კოვლ-ეეეეთი, მაგრამ მშეკდეკი ირსად იეო ამ მხეკებმა ბავშვისა და ჩემი კადაკდეკ მოინდომეს მტარეკლადან. როდ ერთი ბავშა უნდა კადეკეკოთ, ამ დროს კიდეკ ვიკონის კარი და გამოეკდა კარიკეკ სახრულიძე. მან სამადდეკ შეეეეერა და კამოსტეკა მხეკეეს ბავშა ხელდან, კასწეეეეტ მტარეკლის ეოთეკი მსრავკლიტე. მტარეკეკი უცბად კახერდა, ავაზაკეემ სიბნელეთი ისრკეკოდეკ და მოასწრეკ კაქეეეკ. დაეწეკეკ ძეინა ავაზაკეეს, მაგრამ ამაოდ, ვერაფერ კეკილ ვერ მიაგნეკ. ისეეე კაედექეთ გზასა. დავეწეკარე ბავშვი, მეტ ლოტ კონეეზე მოეეედა. ამ სიბნელ ეკეეს დაეკარეკ რადაკეკეკი, სადაც მქონდა მტარეკლის ბიდეეთ და სიმეზაკეკი ეეეედა. ეს დანაკდასი კ. სახარულიძემ შეეესო თავის უკანსკნელ ფეეედან, თეეეეა მე ეინაადმეკეკი ვიეეკეი ამ ეაეეთოთ ადამიანმ მამაკალა უკანსკნელ სადგურამდი მომეკ სიმეზაკრო ფეეედი, მიაქირაკ ლინეკეკ, ჩაპარა ჩეეეი თავი მეეტლეკ, და კეკგამეზაკრა სოფლისაკენ, თეეთონ კი ლეეეეკდა შემდეკ მტარეკელს, გამიმრთეკ მისამართი და ადამიანკ ეკსოეკ ენახეთო, მაგრამ კადის ეკერ რამდენიმე ოვე და კ. სახარულიძე ირსიდან სჩნის. ეხლა სსკ ვერაფერი მოვიკონე კი მანდ კახეთის საშუალებით კამოეკდა ბარეკეკ. ეთხოვ ბ. კირიდე სახარულიძეს, თუ აქეთ არის სადმე ეკენსნის ერთხელ მაინც. სახარულიათ ეკდადებით მე და ჩემი მეუღლეკ. თუ არა იმდენი ბატეკი ეკეტეს ბ ბეკგეკეკინის თავის სამდეკლი მისამართი, რომ მისი ფული მაინც გაეგზავნოთ.

დიდს მადლობას ეკუძენი ბ. კირიდე სახარულიძეს, რომ ეკეხსნა ეკ და ჩემი ბავშვია საშინელ განსაცდელისაკან. ეკსურვეკ ხანკრძალეკ სიცოცხლეს. ეკთხოვ უმორჩილესად ეკველ ქართველ კახეთეს ეს ეკრადი კადაბეეეთ.

ბატეკისეკეთა **კლარა მანჯავიძე-პეკოვისა.**

დაბა-სოფელი.

ს. ვანა (ქუთ. მაზრა). 29 ივნისს აქ ბ. გ. შეფარიშვილმა წიაკითხა მისი საჯარო ლექცია—„ცხოვრების ღირებულება“. ლექციას მრავალნი დაესწრენ. მაგრამ მრავალ შინაარსიანი ლექციით უმრავლესი ნაწილი ავრეკ წოდებეკ ელასიკურ ცოდნას მოკლებული საზოგადოებისა ვერ დაკმაყოფილდა, რომელთათვისაც თითქმის სრულებით გაუგებარი შეიქნა შინაარსი ლექციის, ლეკტორის მიერ მრავალი მეცნიერული ტერმინების ხმარების გამო და მათი მდაბიურად აუხსნელობისა. ზედმეტად არ ჩაითვლებოდა, რომ ლეკტორი მოისურვებდეს მათ ახსნას გასაგებად, სადაც საჭირობა მოითხოვს.

შემოსავლიდან 3 მანეთი, ლეკტორის გადაცემული ადგილმრიგ წ. კ. სახ. სასარგებლოდ, გამგეობამ მიიღო, რისთვისაც უკანასკნელი დიდ მადლობას უცხადებს მას.

აქვე არ შემიძლია არ ალვნიშნო ის საზიზღარი შემთხვევა, რომელსაც ქონდა ადგილი ლექციის კითხვის დროს. უკეე შუადმე გადავიდა, როდესაც ერთი ვინმე თავგატეხილივთ მოყვინებდა ქუჩაზე და ლექციის მსმენელთ სრულიად უურადღება გამოართვა. ყველი იმის მსურველი შეიქნა, რომ ამ საუცხოო ბულბულის გალობა მაღე მათ ყურებს ასკილებოდა, და ყურადღება ჯეროვან საქმეზე მიექცია, მხოლოდ სწორეთ არავინ ფიქრობდა, თუ ეს მგალობელი ფრინველი ჩვენი არა სასურველი სტუმარი გახდებოდა. მაგრამ მოლოდინი გაგვიკრუვდა, დაგდგეინებული სტუმარი გვესტუმრა. და ვინ?—ჩვენი სოფლის განმანათლებელი, აღმდგრძინებელი და განმავითარებელი სამინისტრო ორ კლასიანი სკოლის მასწავლებელი ბ. ნ. ძ—ძე. გასდგომოდა რა თავსა და ფეხებში დიდი მისი ღმერთი ბახუსი (ღვინის ღმერთი),ფულება არ მიეცა მისთვის რა დასწრებოდა ლექციას იქ წესწყობის აღსადგენათ.მოვიდა თუ არა,მაშინვე დარბაზში შეეჭრა და გასცა ღირსეული ბრძანება: „вниманіе“! როდესაც მსხდომ საზოგადოებაში მისივე უსაქციელობამ გამოიწვია ცოტა ხმაურობა, როდესაც ლეკტორი შეუდგა ვეგეტარიანულ თეორიის განმარტებას და შეეხო იმ მუხლს, რომლითაც ის რამოდენიმე საბუთების ძალით განაყენებს ხოლმე ხორცეულების ჭამას, საზოგადოების ყურადღება შეწყვეტილ იქნა იმავე მასწავლებლის სიტყვებით, მიმართული იქვე მჯდომი ექიმის ბ. ს. დ—შვილის მიერ: „ს-ნ, ჩაიწერეთ თქვენს უბის წიგნში არამ ლეკტორი არ გვიბრძანებს ხორაეულების ჭამას!..“ ამისთანა სკენები სხვაც ბევრი წარმოადგინა სასიკადულო პედაგოგმა, რის შემდგომაც სთხოვეს მისი ადმინისტრაციული მოვალეობიდან თავის განთავისუფლება და მიბრძანება მისი გზით. მაგრამ რა, ფაქტი მაინც ფაქტად დარჩა. მისმა სასაცილო და მასთან ღრმათ სამწუხარო საქციელმა საზოგადოებაში დაუვიწყარი ნაბიჯი დასტოვა. ამისთანა უზნეო მაგალითი ადგილობრივი მასწავლებლის მხრით, თვით ბ. ნ. ძ—ბეც უნდა კარგად გრძნობდეს, თუ რამდენად მაენებელია ახლანდელ კაცობრიობის კულტურული მსკელობისთვის, და ერთად ამასთან დიდად საზიზღარი ყველი შეგნებული საზოგადოების თვალში.

ამისთვის უსურვებ ბ. ნ. ძ—ძეს, რომ მან შეიგნოს თავისი ღრმა შეცდომილება, და შემდეგში მაინც გამოიყენოს უკანასკნელი თავის გამსწორებელ გაკვეთილათ, რითაც საზოგადოების თვალში აღადგენს

ახალი უვნებელი საშუალება
რძე პირისახისათვის „ბეტტი“
ფარმ .ს. ს. ნადარეიშვილის

არბილებს და ასუფთავებს სახეს; სპობს სრულებით ფერმკრთალებს, გადაყავს ნაგზეური და ასწორებს პირის ნაოჭებს. ურჩევ აგრეთვე მამაკაცებს ვინც პირს ხეირათ იპარსავს და ექერ.ლებათ სახე. მოითხოვეთ ყველა აფთიაქში და აფთიაქის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობი ქ. თფილისში აფთიაქი **ს. ს. ნადარეიშვილი. განყოფილება ქ. ქუთაისში აფთიაქის საწყობი ლ. კოკოჩეკი და პ. შავერზოვი. ფასი ერთა მანეთი. აფთიაქებსა და აფთიაქის მაღაზიებს სიდ.**

ნ. ს. ტერკის მაღაზია
ქუთაისში
ველოსიპედები



ყველაზე იაფად.

შინები, ნაწილები და მოწყობილ.ბანი კონკურენციის გარეშე **ყველაზე იაფად** ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილითაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.

სახლის პატრონთა საყურადღებოთ.

წრეულს თქვენ დაგჭირდებათ შეკეთება თქვენი სახლის, მაშასადამე უეკველათ საჭირო იქნება თქვენთვის საღებავი მასალები, თავისთავთ ცხადია, დაიქირავებთ მღებარს (მალიარს) და წახვალთ რომელიმე სავაჭროში საღებავების საყიდლათ, იმ იმედით რომ თქვენ მიერ ნაქირავები მღებარი შეატყობს საღებავი მასალების ღირსებას, მართალია ეს? სულაც არა. საღებავების ღირსებას თვალით კარგი გამოცდილი ქიმიკოსიც ვერ შეატყობს, მაშ როგორ სჯობია მოიქცეთ? გირჩევთ მიიქცეთ

ძმ. ედ. და პ. საკაშვილების სავაჭროში
ქუთაისში

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახლი, რადგან მათ მიერ მოტანილი საღებავ.მასალები შემოწმებულია ქუთაისის ქიმიკურ ლაბორატორიაში და აღმოჩნდა საუკეთესო ღირსების. აქვე იშოვით კარის, სარკმლისა და ფეჩის მოწყობილობას, აგრეთვე ალიბასტრს, ცემენტს, სახურავ თუნუქს თეთრს და შავს, ფანჯრის მინებს შპალერს და სხვა მრავალს რკინეულ საქონელ.



ქ. ქუთაისში. (საკ. ტაძართან) ა. თაბაკარის მაღაზიაში.

მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქო

ი და საწერი მანქანები, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილები. ს. ქონლის სიკარგის პირობა ვიძლევი.

ფასები ძლიერ დაკლებული.

ეყიდით ნისიათაც, თვიურად შემოტანით.

ანგარიში

ქუთაისის დარაბ ბავშთა სამზრუნველოთ საზოგადოების გამგეობის მიერ ქალაქის ბაღში 25 მაისს გმართულ სეირნობისა.

შემოვიდა: ბილეთების გაყიდვიდან 303 მ. და 3 ალბანი, ლატარია-ალეგრიდან 445 მ. 9 შ., ჩაის, ყვავილების და კანფეტების გაყიდვიდან 206 მ. 2 შ.; სხვადასხვა თამაშიდან 84 მ. 58 კ., ეტლისაგან 2 მ. და 2 ალ., ფულით შემოწირულობა 43 მ., სულ 1085 მ. 13 კ.

დაიხარჯა: სტამბის სანაბრებებში 12 მ., ბაღის განთავსებაში 40 მ., მუსიკაზე 25 მ., ზუთნის 12 მ., ლატარია-ალეგრისათვის ნივთების სასყიდლად 49 მ. და 5 შაური, სათამაშოების მოწყობაში 10 მ., პაეილიონის მოწყობაში 10 მ., პაეილიონისთვის ნივთების შეძენაში 15 მ., მაშხალებზე 27 მ. და 2 შ., სხვადასხვა ტაბლეულობაზე 30 მ. 13 კ., ჩაის, შაქრის, სანთლის სასყიდლად 4 მ. 98 კ., დგამისა და ჭიქებლის ქირად 15 მ., ჭიქებლის საწმენდი ტილოზე, მ. 10 შ., ლოტარია-ალეგრის ნივთების მოწყობაზე 1 მ. და 2 ალ. მეშვიდის ქირად 12 მ., მოსაწვევი წერილების გაგზავნა 3 მ., დებეშების 9 მ. და 5 შაური ეტლებზე 8 მ. და 10 შაური, ნივთების გადატანაში 1 მ. 3 ალ., მოსამსახურეების ქირა 5 მ. 3 ალ. ნახშირი, წყალი და და სხვა წვრილმანი ხარჯი 9 მ. და 19 შ., მარკების 40 მ. 18 კ., სულ დაიხარჯა 343 მ. 44 კ., დარჩა ხარჯს ზეგით 741 მ. 69 კ.

ფულათ შემოსწირეს: ქუთაისის გუბერნატორმა ბ. ლ. ვ. პოტულოვმა 10 მ., „ეგანთალებულმა თავადმა დ. ა. ბაგრატიონმა 10 მ., ს. ფ. კოკორევისამ 5., ლ. ი. კოკორევისამ 3 მ., განსვენებულის თავადის ჯამბაკურ გურიელის ოჯახიდან 3 მ., კნეინა ს. დ. ალბაშიძისამ 3 მ., თავ. კიტა ალბაშიძემ 3 მ., ი. ა. ბიბერგალმა 3 მ., ი. ბ. ავსარქისოვმა 3 მ. ნივთებით შემოსწირეს: მ. ლ. გველესიანისამ, მ. ა. თაყაიშვილისამ, ა. მ. ჩარიბაიანამ, კნ. ი. ტ. დადიანისამ, ნ. გ. ინასარიძისამ, ა. ვ. რუსაძემ, ა. ი. დმიტრიევისამ, კნ. ო. ვ. გრიგოტოვმა, მ. გ. ანჯაფარიძისამ, კნ. ო. ე. ბარბალისამ, ო. კ. ნოვიაკისამ, ა. ბ. ლორთქიფანიძისამ, მ. ე. გოკეელოვისამ, ბ. ტ. ჯაიანმა, ე. გ. ტყეშელაშვილმა, ე. ნ. ჩოქოვანისამ, მ. მ. ჯანელიძისამ, ვ. ბ. ალიბასამ, თავ. ი. ბ. მელიქოვმა, მ. ა. ანანოვმა. ეკრებმა შემოსწირეს საქონელი, ღირებული: გ. ბაბუნიამ 2 მ. 50 კ., „ობოლ-ბარშემ“—2 მ. და 1 ალ., ბ.ბ. ოსტელებმა 5 მ., გაგუამ და ჯაკობიამ სამი მანეთი.

(შემდეგი იქნება)

რედაკტორ-გამომცემელი **ბ. ჯაიანი.**

რკინის გზა

ქუთაისიდან მიდის

თფილისს:	ფოშტის დილის	11	საათ. 55 წ.
	ჩქარი ღამით	2	საათ. 57 წ.
	სახალხო დილის	10	საათ. 10 წ.
	სახალხო ღამით	1	საათ. 7 წ.
ბათომს:	ფოშტის საღამოს	5	საათ. 30 წ.
	ჩქარი ღამით	2	საათ. 57 წ.
	სახალხო საღამოს	8	საათ. 35 წ.
	სახალხო დილის	4	საათ. 27 წ.
ფოთს:	სახალხო საღამოს	4	საათ. 14 წ.
	სახალხო ღამით	2	საათ. 57 წ.
	სახალხო დილით	4	საათ. 27 წ.
	ფოშტის საღამოს	5	საათ. 30 წ.
	სახალხო საღამოს	8	საათ. 35 წ.
ზოგანაკენს:	საეგარაკო საღამოს	5	საათ. 00 წ.
ტყიბულს:	სახალხო დილის	6	საათ. 20 წ.
	სახალხო საღამოს	4	საათ. 20 წ.

ქუთაისს მოდის.

თფილისიდან:	ფოშტის საღამ.	6	საათ. 57
	ჩქარი ღამით	3	საათ. 50
	სახალ. საღამოს	9	საათ. 44
	სახალხო ღამით	5	საათ. 50
ბათომიდან:	ფოშტის დღით	1	საათ. 25
	ჩქარი ღამით	3	საათ. 50
	სახალხო დღით	11	საათ. 22
	სახალხო ღამით	2	საათ. 23
ფოთიდან:	სახალხო დილით	10	საათ. 3
	ფოშტის დღით	1	საათ. 25
	სახალხო ღამით	2	საათ. 23
	სახალხო ღამით	3	საათ. 50
ზოგანაკენიდან:	საეგარაკო დილ.	9	საათ. 18
ტყიბულიდან:	სახალხო საღამოს	7	საათ. 39
	სახალხო დილით	9	საათ. 38

სტამბა „ძმობა“, პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელოვის.